

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

დავით მიხეილის ძე შუღლიაშვილი

რვახმის სისტემა ქართულ საეკლესიო გალობაში

(საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)

მუსიკოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქვესპეციალობა: საეკლესიო მუსიკა

თბილისი

2009

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი,
მანანა ანდრიაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი,
იოსებ ჟორდანიას

ექსპერტები:

მუსიკოლოგიის დოქტორი,
მარიამ ოსიტაშვილი

მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი
თამარ ჩხეიძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2009 წლის 2 ივლისს, 14 საათზე,
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
მუსიკის თეორიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს N 5 სხდომაზე.
კამერული დარბაზი, №307

თბილისი, გრიბოედოვის №8

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი
მარიკა ნადარეიშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო თემის აქტუალობა.

საეკლესიო ქრისტიანული ხელოვნების ყოველ სფეროში არსებობს განსაზღვრული კანონი, წესებისა და ნორმების გარკვეული სისტემა, რაც განაპირობებს ქმნილებისა თუ ნაწარმოების საეკლესიო კანონიკასთან შესაბამისობას. შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკური თავისუფლების პირობებში, სწორედ ეს სისტემა წარმოადგენს ქრისტიანული ხელოვნების სეკულარიზაციისგან დამცავ მექანიზმს. ამგვარი სისტემა ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც, საეკლესიო გალობაშიც დასტურდება.

ქართული ჰიმნოგრაფიის ლიტერატურული, ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლას მრავალწლოვანი ტრადიცია აქვს. ინფორმაცია რვახმის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო შრომებში გვხვდება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, არა მუსიკოლოგიური, არამედ ლიტურგიკული ან ლიტერატურული ასპექტით.

მუსიკოლოგიური თვალსაზრისით თავის შრომებში რვახმას ეხებიან: დ. არაყიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, შ. ასლანიშვილი, ო. ჩიჯავაძე, ვ. გვახარია, ე. ჭოხონელიძე, კ. როსებაშვილი და სხვ.. რვახმის სისტემისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომს ქართულ მუსიკოლოგიაში დღემდე მხოლოდ მ. ოსიტაშვილის სადისერტაციო შრომა „ქართული რვა ხმის სისტემა და მისი კილო-ინტონაციური საფუძვლები“ წარმოადგენს.¹ თუმცა საკითხის შესწავლაზე, რვახმის ზოგად პრინციპზე, სემანტიკურ შინაარსსა თუ ცალკეული ხმების აგებულებაზე არაერთ მეცნიერ-მკვლევარს აქვს ჩატარებული შრომა.² აქვე დავძენთ, რომ გალობის სფეროში მომუშავე ყველა მეცნიერი გარკვეულწილად ეხება რვახმის საკითხს.³

¹ იხ. მ. ოსიტაშვილი – ქართული რვა ხმის სისტემა და მისი კილო-ინტონაციური საფუძვლები (ქართლ-კახური კილოს საგალობელთა მაგალითზე). // დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. -თბილისი, 1988.

² მ. სუხიაშვილი – ქართული საეკლესიო საგალობლების ძირითადი კომპოზიციური პრინციპის შესახებ – ჟ. „ხელოვნება“ 1999 №5-6.; გალობის კანონიკის ძირითადი ასპექტები ძველ ქართულ სასულიერო მუსიკაში. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. - თბილისი, 2006.

თამარ ჩხეიძე – საღვთო ლიტურგია ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტი) // დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო

ამ კუთხით არსებული შრომების მიუხედავად, დღემდე ზუსტად არ არის განსაზღვრული ქართულ გალობაში რვახმა საგალობელთა ერთიანი მუსიკალური სისტემა, არ არის განსაზღვრული რვახმის საგალობელთა ჯგუფები, მათი მელოდიურ-ინტონაციური ფონდი, რაც სისტემის მთლიანობაში წარმოდგენისთვის აუცილებელი პირობაა. არ ჩატარებულა საგალობელთა უანრობრივი სისტემატიზაცია რვახმათა ჯგუფებთან მიმართებაში.

ქართულ საეკლესიო გალობაში რვახმის სისტემის სათანადო თეორიული განმარტების უქონლობა მავანთა და მავანთათვის საბაზისა ეჭვის შეტანისა ქართული ტრადიციული მრავალხმიანი გალობის საეკლესიო კანონიკასთან შესაბამისობაში, რის გამოც კიდევ უფრო აქტუალური ხდება ამ სისტემის საფუძვლიანი შესწავლა და მისი კანონზომიერებების გამოვლენა. ამდენად, რვახმის სისტემის მოცულობითი თეორიული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს პასუხი გაეცეს ქართულ გალობასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვას.

კვლევის ობიექტი

- ქართული გალობის ნებისმიერი საკითხის შესწავლისას, რომელიც მის მუსიკალურ მხარეს შეეხება, აუცილებელია XIX საუკუნეში ნოტებზე ფიქსირებული მასალის გამოყენება. მხედველობაში გვაქვს ფ. ქორიძის, ე. კერესელიძის, ძმები კარბელაშვილების, რ. ხუნდაძის ხელნაწერები და გამოცემული კრებულები. ჩვენი კვლევის მთავარ ობიექტსაც სწორედ ეს მასალა წარმოადგენს, მათ შორის ისეთი კრებულებიც, რომელიც დღემდე სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევებში.

ხარისხის მოსაპოვებლად. - თბ. 1997; მუსიკისა და სიტყვის ურთიერთობის პრობლემისათვის ქართულ საგალობლებში (ტროპარის მეოთხე ხმის საგალობელთა ანალიზის მაგალითზე)//თ. ს. კ. სამეცნიერო შრომების - თბილისი, 1999.

ჯ. ჯანგულაშვილი – სამღვდელმთავრო წირვის საგალობელთა თავისებურებანი სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის საარქივო მასალების მიხედვით (კათაკმეველთა ლიტურგია) – სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომი, თ.ს.კ. – თბ. 2008

³ იხ. მ. ანდრიაძე 1991, 1998, მ. ასანიძე 1990, თ. გაბისონია 2005, დ. დოლიძე 1991, მ. ერქვანიძე 2001, ე. ონიანი 2004, რ. წურწუშია 2005, მ. ხვთისიაშვილი 1997 და სხვ.

- ჩვენი კვლევის მთავარი მასალა კარგად ცნობილი Q672, Q673 და Q674 ხელნაწერებია, რომლებში არსებულ რვახმის საგალობელთა სტრუქტურულ-მუხლობრივი ანალიზი სრულად აქამდე არ ჩატარებულა.
- ასევე უმნიშვნელოვანეს მასალას წარმოადგენს საგალობელთა აუდიო ჩანაწერები, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი უკავია არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებს.
- სწორედ ამ მასალებიდან გამომდინარე ვმსჯელობთ როგორც გალობის სფეროს მომწესრიგებელი სისტემის – რვახმის შესახებ, ისე საგალობო ტრადიციის მრავალფეროვნებაზე ქართული ეკლესიის სინამდვილეში.

კვლევის საგანია:

- ქართული საეკლესიო გალობა.
- რვახმის სისტემის საგალობელთა კლასიფიკაცია.
- მათი მუსიკალური შინაარსის მიხედვით დაჯგუფება.
- ხმათა სტრუქტურა. აგების წესი.
- რვახმის ინტონაციური არსენალის გამოვლენა.
- საგალობო სკოლები და ტრადიციები რვახმის სისტემის კონტექსტში.

კვლევის მიზანია:

- გამოვავლინოთ რვახმის სისტემაში შემავალ საგალობელთა დაჯგუფების პრინციპი.
- განვსაზღვროთ რვახმათა ჯგუფების ოდენობა, მათში შემავალი ჟანრების სახეობები, ტიპოლოგია.
- წარმოვადგინოთ რვახმის ყოველი ჯგუფის თითოეული ხმის ტიპური სტრუქტურა, მუსიკალური შინაარსი, მუხლობრივი აგების წესი.
- თითოეული ხმის ფარგლებში გამოვავლინოთ ნიმუშები, რომელშიც გვხვდება სტრუქტურული გადახვევები, მუხლთა არატიპური თანმიმდევრობები, მათი სიხშირე.

- შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ რვახმის სისტემაში არსებული ერთობა და სხვაობა ქართული გალობის სხვადასხვა საგალობო ტრადიციაში.

ამასთან ერთად, კვლევაში ვსვამთ შემდეგ საკითხებს:

- დავაზუსტოთ Q კოლექციაში არსებული მასალის ნუმერაციის შესაბამისობას ე. კერესელიძის „წიგნთა“ სიასთან.
 - გალობის მკვლევართათვის დიდი დახმარების გამწევი ხელნაწერის, ე. კერესელიძის მიერ შედგენილი „საგალობელთა საძიებლის“ (Q665) სრულყოფილად გამოყენება სირთულეს წარმოადგენს, მასში სანოტო კრებულთა ნუმერაციისა და Q კოლექციის ნომერთა სხვაობის გამო. შესაბამისობის დადგენისთვის აუცილებლობა შეიქმნა შედარებითი აღწერა-ანალიზის ჩატარებისა, რაც ამ პრობლემის მოხსნის შესაძლებლობას გვაძლევს.
- განვსაზღვროთ და დავაზუსტოთ ქართული გალობის ტრადიციათა, საგალობო სკოლათა წარმომავლობა და მათი სახელწოდება-ტერმინოლოგია, კერძოდ, რომელი სკოლის ნიმუშებს ასახავს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი სანოტო და აუდიო ჩანაწერები; მოკლედ განვსაზღვროთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ესა თუ ის საგალობო სკოლა.
- წარმოვადგინოთ გალობის განვითარების ისტორიული ეტაპების ჩვენეული ხედვა.

კვლევის ამოცანა

- ჩატარებული კვლევის საფუძველზე ქართულ საეკლესიო გალობაში რვახმის სისტემის თეორიული ბაზისის განსაზღვრა-ფიქსირება მუსიკოლოგიური თვალსაზრისით და სხვადასხვა საგალობო სკოლათა ნიმუშების შედარებითი ანალიზით კანონიკური ხმების (ჰანგების) ტრადიციულობის და ამ სისტემისადმი დაქვემდებარებულობის დამტკიცება.

კვლევის მეთოდოლოგია

ქართულ საეკლესიო გალობაში რვახმის სისტემის კვლევის ძირითად მეთოდად არჩული გვაქვს: 1) შედარებითი ანალიზი. ქართული გალობის თითოეულ ტრადიციაში არსებული რვახმის საგალობელთა ნიმუშების ურთიერთშედარებით ვადგენთ და ვაზუსტებთ რვახმის კანონზომიერებებს. 2) თითოეული ხმის მუხლობრივი ანალიზით ვადგენთ სტრუქტურულ თავისებურებებს. 3) სტატისტიკური მეთოდით თითოეული ხმის ფარგლებში ვავლენთ სტრუქტურათა ტიპურ და არატიპურ ნიმუშებს.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი ორ წიგნად არის წარმოდგენილი: 1) ძირითადი ტექსტი, 2) დანართი.

I წიგნი, ნაშრომის ძირითადი ნაწილი შეიცავს: შესავალს, სამ თავს, ბოლოთქმას, დასკვნასა, ლიტერატურის (202 დასახელება), სანაოტო გამოცემების (25 დასახელება) და ხელნაწერთა (41 დასახელება) სიებს.

- პირველ თავში საუბარი გვაქვს ქართული გალობის წყაროთმცოდნეობითი კვლევის საჭიროებასა და ამ კუთხით ჩვენს ხელთ არსებული და მოპოვებული მონაცემების შესახებ.
- მეორე თავი ეძღვნება ქართული საგალობო სკოლების, მათი წარმომავლობის, სახელწოდებების განსაზღვრის, განვითარების ეტაპების, ხმათა შეწყობის თავისებურებების და სხვ. საკითხებს;
- მესამე თავი ქართულ გალობაში რვახმის სისტემის, მისი კლასიფიკაციის და დაჯგუფების, ხმათა სტრუქტურის, მუხლ-მოდუსთა ფონდის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლა-გამოვლენას ეძღვნება. ეს თავი ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

II წიგნი სამ ნაწილადაა დაყოფილი:

1. დანართი (15 ერთეული),
2. ცხრილები (34),
3. სანოტო მაგალითები (168).

წიგნს ახლავს ნაშრომში მოტანილი სანოტო მაგალითების სია, მათი წყაროთა მითითებით (6 გვ.).

ნაშრომში მთლიანობაში გაანალიზებული და სტრუქტურული სქემით არის წარმოდგენილი 822 საგალობელი (ცხრილებში).

მეცნიერული სიახლე

ქართული საეკლესიო გალობა საუკუნეზე მეტია სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს, თუმცა დღემდე მრავალი საკითხი არის საიდუმლოებით მოცული. მთელი რიგი ნაშრომებისა ეხება რვახმის სისტემის გარკვეულ ასპექტებს, მათ შორის ძირეულსაც, მაგრამ მისი ზუსტი სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია დღემდე არ მოგვეპოვება. ჩვენი ნაშრომის მთავარ სიახლეს რვახმა საგალობლების ჩვენეული სისტემატიზაცია და სანოტო მაგალითების ანალიზის საფუძველზე მისი არგუმენტირება წარმოადგენს. პირველად ხდება რვახმის საგალობელთა სხვადასხვა ჟანრის საგალობელთა სრული მუსიკალური ფონდის გამოვლენა, მათი მუხლობრივი ანალიზი, სტრუქტურული კანონზომიერებების დადგენა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვადგენთ ამ კანონზომიერებების სტაბილურობას სხვადასხვა სკოლების მაგალითზე.

აღნიშნავთ ჰანგისა და სიტყვის ურთიერთდამოკიდებულებაში არსებულ კანონზომიერებებს საგალობლის სტრუქტურასთან მიმართებაში.

რვახმათა ჰანგების სისტემური კატეგორიზაცია ხელნაწერებში არსებული ათასობით საგალობელთა ჰანგების რვახმის სისტემის შესაბამის ჯგუფთან და ხმასთან იდენტიფიცირების შესაძლებლობას გვაძლევს. ამასთან ერთად, შესაძლებლობა გვეძლევა გამოვაავლინოთ ხელნაწერებში არსებული გადახვევები, ცდომილებები თუ უზუსტობანი.

რვახმის სისტემატიზაცია, რაც ჩვენი შრომის მთავარი მიზანია, სანოტო ხელნაწერებში დაუფიქსირებელი მრავალი საგალობლის ტექსტისთვის შესაბამისი კანონიკური ჰანგის შერჩევისა და მისი ჰანგზე გაწყობის ნორმების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

* * *

ვსვამთ საკითხს საგალობელთა ხელნაწერების წყაროთმცოდნეობითი კვლევის პრობლემატიკის შესახებ, რაც პრიორიტეტული სფერო უნდა გახდეს ამ სფეროს მკვლევართათვის. ამ მხრივ წარმოვაჩინო ჩვენთვის ცნობილ ნაკლებგაშუქებულ მასალას.

* * *

წარმოვადგინოთ გალობის განვითარების ისტორიული ეტაპების ჩვენეულ ხედვას. ვახდენთ სკოლათა კლასიფიკაციას, ვიძლევიტ ტერმინოლოგიურ დაზუსტება-არგუმენტაციას. განვსაზღვრავთ საგალობო სკოლების ნაირსახეობათა განმპირობებელ ფაქტორებს.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება და პერსპექტივები

- წინამდებარე ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც ქართული გალობის მკვლევარებს, ისე პრაქტიკოს მგალობლებს, ლოტბარებსა და პედაგოგებს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნათ რვახმის სისტემის კანონზომიერებების, სტრუქტურული თავისებურებებისა და მელოდიურ-ინტონაციური არსენალის შესახებ ქართულ საეკლესიო გალობაში.
- ჩამოყალიბებული სისტემის არსებობის პირობებში შესაძლებლობა გვეძლევა ხელნაწერებში დაცული ათასობით საგალობლის კლასიფიცირებისა და მათში არსებული გადახვევებისა თუ განსაკუთრებული შემთხვევების გამოვლენისა.
- ქართულ გალობაში არსებული რვახმის სისტემის კანონზომიერებათა გამოვლენა, საგალობელთა უანრობრივი და ინტონაციური კლასიფიციკაცია, შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით ანალიზი ჩატარდეს სხვა ქრისტიანულ საგალობო ტრადიციებთან (ბერძნული, რუსული, ადრეული ევროპული და სხვ.), რაც საფუძველს შექმნის საეკლესიო გალობის ზოგადქრისტიანული კანონიკური ელემენტების განსაზღვრისათვის.
- წარმოდგენილი ნაშრომი, მასში მოცემულ საკითხთა

მრავალფეროვნებით, შესწავლის ფართო არეალითა და სისტემურობით, მისი, როგორც ქართული საეკლესიო გალობის სახელმძღვანელოს საფუძველად გამოყენების პირობას ჰქმნის.

ნაშრომის შინაარსი

თავი I. საბალოგელთა წყაროები.

პირველი თავი იძლევა ინფორმაციას ქართული საეკლესიო გალობის წყაროთმცოდნეობითი კვლევის მდგომარეობაზე, მის საჭიროებასა და პერსპექტივებზე. მითითებულია მასალა რომელიც ნაშრომში მთავარ საანალიზო მასალას წარმოადგენს.

ქართული გალობის უადრესი სანოტო ჩანაწერები.

ევროპული სანოტო დამწერლობა საქართველოში, როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში შემოვიდა, თვით ევროპულ მუსიკალურ კულტურასთან ერთად. რუსეთის მიერ ანექსირებული და იზოლაციაში მყოფი ქვეყნისთვის თავად რუსეთი იქცა ევროპულ კულტურასთან საკონტაქტო გზად. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიისთვის იმ მეტად რთულ პერიოდში, როცა რუსი ეგზარქოსების მიერ შევიწროვებული და, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ აკრძალული იყო ქართულად ღვთისმსახურება და მასთან ერთად, ქართული გალობა, პირველები, ვინც სცადეს ქართული გალობის ნოტებზე ჩაწერა სწორედ რუსები იყვნენ.

ქართული საგალობლის ჩვენამდე მოღწეული უძველესი სანოტო ჩანაწერი (ხუთხაზიან სისტემაში) არა საქართველოში, არამედ უკრაინაშია ჩაწერილი. ეს არის ღვთისმშობლის ძლისპირი „აღაღე პირი ჩემი“, რომელიც არა უგვიანეს 1802 წლისა, კიევის მიტროპოლიტის, ევგენი ბოლხოვიტინოვის მიერ არის ჩაწერილი ე. წ. კვადრატული (იგივე კიევური) ნოტაციით, ხოლო ამ საგალობლის გადამცემი, მასთან სტუმრად ჩასული ქართველი სასულიერო პირი, ვარლამ ერისთავი გახლდათ, ვინც პირველ ეგზარქოსად დაინიშნა საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ.

საქართველოში ჩაწერილ საგალობელთა ყველაზე ძველ სანოტო ხელნაწერად, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, აქამდე ითვლება დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ჩაწერილი იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები, რომელიც 1863 წლით თარიღდება.⁴ ეს ხელნაწერი 1955 წელს ეთნომუსიკოლოგ ოთარ ჩიჯავაძის მიერ არის გადაცემული ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის. მათი შესწავლა, როგორც წყაროთმცოდნეობითი ისე მუსიკოლოგიური თავლსაზრისით სათანადოდ ჯერ არ ჩატარებულა.

ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერები.

სანოტო ხანაწერებში ქართულ საეკლესიო გალობას ყველაზე მრავალრიცხოვნად და სრულად ფილიმონ ქორიძის ხანაწერები წარმოგვიდგენს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში დაცული „36 წიგნი“, სქელტანიანი კრებულები, (Q665-Q694, Q830, Q833, Q840) რომელიც ე. კერესელიძემ საქართველოს მუზეუმს 1936 წელს გადასცა, ქართული საეკლესიო გალობის უმნიშვნელოვანესი საგანძურია. ამ მასალაში, ერთის მხრივ, ფ. ქორიძის მიერ უშუალოდ მგალობელთაგან საგალობელთა ნოტებზე გადატანისას „შავად ნაწერი“ კრებულები, ხოლო მეორეს მხრივ, ამ საგალობელთა ე. კერესელიძის მიერ „გადათეთრებული“ წიგნები იგულისხმება. ზემოაღნიშნულ 36 წიგნს შორის სამი მათგანი არ არის სანოტო კრებული: ერთი არის „ფსალმუნთა განმარტებანი“ (Q675), მეორე – ნოტებზე ჩაწერილ საგალობელთა ანბანური საძიებელია (Q665), ხოლო მესამე – ე. კერესელიძის მიერ დაწერილი „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“ (Q 840). სწორედ ამ უკანასკნელში არის მოცემული 36 წიგნის აღწერილობა.

მართალია, ამ აღწერილობის მსგავსად, „საგალობელთა საძიებელში“ (Q 665) წიგნები ნომრებით არის დასახელებული, მაგრამ თვით კრებულებზე ყოველთვის არ არის აღნიშნული ეს ნომრები, ამავე დროს, აღნიშნული ნუმერაციაც არ ექვემდებრება ერთ სისტემას. კრებულთა იდენტიფიცირებაში წიგნთა კერესელიძისეული დასათაურება ზოგ შემთხვევაში ვერ გვეხმარება, რადგან ცალკეულ შემთხვევაში კრებულის შინაარსი არ შეესაბამება მის აღწერილობაში მოცემულ დასათაურებას. შესაბამისად კერესელიძის სიასა და Q კოლექციის კრებულებში სხვადასხვა რიგი და თანმიმდევრობა გვხვდება. ამიტომ პრობლემური ხდება როგორც „საძიებლის“ მოხმარება, ისე კრებულთა რიგითი ნომრისა და Q

⁴ იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი სხვადასხვა №50

კოლექციის ნომერთა იდენტიფიკაცია. ამ მიზეზით შეიქნა საჭიროება შედარებითი ანალიზის ჩატარებისა, რის შედეგადაც აღნიშნული პრობლემა გადაჭრილია.

ქორიძის ხელნაწერებისა და კერესელიძის კრებულების რიცხვი მხოლოდ კოლექციაში დაცული მასალით არ ამოიწურება. ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციაში ინახება ერთი ნომრის ქვეშ გაერთიანებული ცხრა კრებული (H154). აღსანიშნავია, რომ ვ. გვახარიას თავის წიგნში „ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება“ ეს ხელნაწერი კი აქვს ნახსენები,⁵ მაგრამ Q კოლექციის ხელნაწერთაგან განსხვავებით, რომელში შემავალი საგალობლების ჩამონათვალი სრულად აქვს წარმოდგენილი ნაშრომში, რატომღაც H154-ში შემავალი საგალობლები არა აქვს გათვალისწინებული.

H154-ში გაერთიანებული ცხრა კრებული ხელნაწერთა ფონდში 1910 წელს სპირიდონ ლოსაბერიძისგან არის მიღებული. საყურადღებოა ე. კერესელიძის „ისტორიის“ ერთი ეპიზოდი, რომელიც აღწერს, თუ საიდან მოხვდა სპირიდონ ლოსაბერიძესთან საგალობელთა კრებულები და რა ბედი ეწია მათ.⁶ აღნიშნული ცხრა კრებული საგალობლების მეტად ძვირფას მასალას შეიცავს, რომელთა შორის დიდი ნაწილი სრული მგალობლის, ანტონ დუმბაძის მიერ არის გადაცემული.

ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებში გამორჩეული ადგილი უკავია სამ დიდტანიან წიგნს: Q672, Q673 და Q674, რომლებიც დღიური საღვთისმსახურო ციკლის სამივე უმთავრესი განგების (მწუხრის, ცისკრის, წირვის) საგალობელთა ყველაზე სრულადმომცემ კრებულებს წარმოადგენს. ჩვენი კვლევის უმთავრეს მასალას სწორედ ეს კრებულები წარმოადგენს.

კარბელაშვილების სანოტო კრებულები.

დასავლეთ საქართველოში ფ. ქორიძის მიერ საგალობელთა ნოტებზე გადაღების გაცხოველებული პროცესის პარალელურად, აღმოსავლეთ საქართველოში იგივე საქმიანობას საგალობო ტრადიციის მატარებელი საგვარულოს, კარბელაშვილების თვალსაჩინო წარმომადგენლები ვასილ, პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილები განხორციელებდნენ. კარბელაშვილთა გვარი ქართული გალობის ე. წ. ქართლ-კახური კილოს დამცემ დინასტიად

⁵ ვ. გვახარია – ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება - თბ. 1962 გვ.411

⁶ იხ. Q840 გვ. 43-44

შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ უწოდეს გალობის ამ კილოს „კარბელაანთ კილო“. ამ სახელითვე არის გამოცემული საგალობელთა ორი კრებული - „მწუხრი“ (1897) და „ცისკარი“ (1898), რომელიც არა მხოლოდ მწუხრისა და ცისკრის მუდმივ საგალობლებს შეიცავს.

ცალკე აღსანიშნავია ფილიმონ კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრი“ (1907), სადაც მხოლოდ ზედა ხმის – მოქმელის პარტიაა მოცემული. მაგრამ ეს კრებული იმით არის გამორჩეული, რომ ქართული საგალობლების სტრუქტურული ანალიზის პირველ ნიმუშს წარმოადგენს. (ამ კრებულზე ნაშრომში არაერთხელ შევხერდებით). ფ. კარბელაშვილსვე ეკუთვნის კრებული „შობის საგალობლები“, რომელიც საგალობელთა ხუთხაზიან სანოტო სისტემაში კილოური თავისებურებების ჩაწერის მეტად საინტერესო მცდელობას წარმოადგენს.

კარბელაშვილებისგან დანატოვარი ხელნაწერები, რომლებიც სხვადასხვა არქივებსა და ფონდებში მოიპოვება, ჩვენს ნაშრომში მხოლოდ ნაწილობრივად გვაქვს გამოყენებული. ეს ძვირფასი მასალა ჯერ კიდევ მოელის საფუძვლიან მუსიკოლოგიურ კვლევას.

არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერები.

ქართული გალობის სანოტო ჩანაწერებისგან განსხვავებით, რომელთა ოდენობა რამდენიმე ათასს ითვლის, ფონო ჩანაწერები მეტად მწირად მოგვეპოვება. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოცულობითია გალობის უკანასკნელი მცოდნის, არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული საგალობლები, ჩაწერილი 1966 წელს, თბილისის სახ. კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრაზე. ამ ჩანაწერების მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა წარმოადგინა შევიქმნათ საგალობელთა შესრულების იმ თავისებურებებზე, რომელთა ასახვაც სანოტო ჩანაწერებში ვერ ხერხდება. გალობის ტრადიციას, რომელსაც არტემ ერქომაიშვილი წარმოადგენს, XIX-XX საუკუნეში „დუმბადის კილოს“ უწოდებდნენ, რაც ამ საგვარეულოს გალობასთან მჭიდრო კავშირსა და მეტადრე, სრული მგალობლის, ანტონ დუმბადის ავტორიტეტს უკავშირდება.

ქართული გალობის სხვა წყაროები.

საგალობელთა სანოტო ჩანაწერების ზემოაღნიშნული ძირითადი წყაროების გარდა დღეს არაერთი ხელნაწერი არსებობს, რომელთა პრაქტიკული თუ სამეცნიერო შესწავლა დღემდე არ ჩატარებულა. ამგვარი ხელნაწერებისა და მასთან დაკავშირებული მასალის გამოვლენა ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს ქართული გალობის შესწავლის საქმეში.

თავი II – ქართული გალობის სკოლები.

ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიის სათავეები იმ შორეულ ხანას უკავშირდება, რომელიც ქართული მუსიკის შესახებ ცნობებს ძალზედ მწირად იძლევა. ამისდა მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსა და მის გარეთ არსებულ სავანეებსა და ეკლესია-მონასტრებში ლიტურგიკისა და საეკლესიო ხელოვნების სხვა დარგებთან პარალელურად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილი – საეკლესიო გალობა და მასთან ერთად, ზოგადი და ლოკალური მნიშვნელობის საშემსრულებლო ტრადიციები.

საეკლესიო ხელოვნებაში (მის ცალკეულ დარგებში) მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის საფუძველზე ამა თუ იმ სკოლის წარმოქმნა ისტორიისთვის ცნობილია. ბუნებრივია, რომ ქართულ საეკლესიო გალობაშიც არსებობდა სხვადასხვა სკოლა – როგორც გარკვეული საკომპოზიციო ტექნიკისა და ესთეტიკური პრინციპის მქონე შემოქმედებითი სისტემა. ჩვენს სადიპლომო ნაშრომში „ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ“⁷ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოსაზრებად სწორედ ის თეზისი მიგვაჩნია, რომლის მიხედვით, ქართული გალობის ერთიანი კანონიკის საფუძველზე აგებული გალობის სხვადასხვა კილოები სწორედ საგალობო სკოლებს წარმოადგენს. მათი ამა თუ იმ გვარით ან კუთხის სახელით მოხსენიება („კარბელაანთ კილო“, „დუმბაძის კილო“, ქართლ-კახური გალობა, იმერულ-გურული გალობა) გვიანდელ ტრადიციად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ტერმინი „კილო“ (ამ კონტექსტში) სკოლის სინონიმია.⁸ ამ თეზისის სისწორის ერთგვარი დასტურია ის ფაქტიც, რომ საკითხის წამოწევის კვალად, როგორც თანამედროვე

⁷ დავით შუღლიაშვილი – ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ // თ.ს.კ. სამეცნიერო შრომების კრებული - ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. - თბილისი, 1991

⁸ იქვე, გვ.161

მუსიკისმცოდნეობაში, ისე სამგალობლო პრაქტიკაში მალევე დამკვიდრდა (აღდგა) საგალობო ტრადიციებისა თუ კილოების საგალობო სკოლებად მოხსენიების წესი.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, განვსაზღვროთ, კერძოდ რომელი სკოლის ნიმუშებს ასახავს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი სანოტო და აუდიო ჩანაწერები; მოკლედ განვსაზღვროთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ესა თუ ის საგალობო სკოლა.

ქართული გალობის ყოველ სკოლას კანონიკური საფუძველი საერთო აქვს, რაც ყველაზე ნათლად სამხმინანი ქართული გალობის პირველ ხმაში – თქმაში არის გამოხატული. ქართულ გალობაში თქმის წამყვან მნიშვნელობას აღნიშნავენ როგორც ძველი მგალობელნი, ისე თანამედროვე ქართველი მუსიკისმცოდნენი. საგალობო სკოლათა ინდივიდუალობა კი გალობის სამი ხმის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებათა თავისებურებაში გამოიხატება, რაც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა სხვადასხვა მონასტრებსა და ეკლესიებში.

განვითარების საფეხურები.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ჩაწერილ მრავალრიცხოვან სანოტო მასალაში, რომელშიც უდიდესი ნაწილი ფ. ქორიძის ჩანაწერებს უკავია, გალობის ორი ტიპი, ორი სახეობა გვხვდება: 1) ე. წ. „სადა კილო“, „კილო გალობა“, სხვანაირად – „ნამდვილი კილო“, და 2) „გამშვენებული გალობა“, რომელიც ზოგან „გავარჯიშებულ“ ან „ვარჯიშ-გალობად“ იწოდება, მაგრამ ფ. ქორიძის ცნობით მას წინ კიდევ ერთი საფეხური უნდა უძღვოდეს, რომელსაც „სასწავლებელი ხმები“ ეწოდებოდა. იგი ხმათა კვარტოქტაკორდული პარალელიზმით ხასიათდებოდა. ამ სახის ხმათასვლა ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ჩანაწერებიდან მხოლოდ არტემ ერქომაიშვილისგან ჩაწერილ საგალობელთა ნიმუშებში გვხვდება.

ქართული გალობის მრავალხმიანობასა და ადრეული ევროპული პოლიფონიის მუსიკალურ აზროვნებაში არსებული დიდი სხვაობის მიუხედავად, აღსანიშნავია გარკვეული ელემენტების მსგავსება, რომელიც პროფესიულ მუსიკაში პოლიფონიის განვითარების ორ გზას შორის, ორ, განსხვავებული ისტორიის მქონე კულტურაში შეინიშნება.

„სასწავლებელ ხმათა“ ინტერვალური დამოკიდებულება შუასაუკუნეების ევროპულ-15-პოლიფონიურ მუსიკაში არსებულ

ადრეული organum-ს მოგვაგონებს. „სასწავლებელ ხმებში“ ქართული გალობის უძველესი შრეა ასახული. მიგვაჩნია, რომ ხმათა პარალელიზმის აღნიშნული პრინციპი ქართული გალობის შესრულების უძველესი ფორმაა. „სასწავლებელი ხმები“, „სადა კილო“, „გამშვენებული გალობა“ – ეს არა მხოლოდ სწავლების, არამედ ქართული გალობის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი ტერმინებია.

ქართული გალობა პარალელიზმის პრინციპს ინარჩუნებს მისი განვითარების ზემოაღნიშნულ სამივე ეტაპზე. „ხმათა წყობილება, რომელსაც ჰქვია პარალელური კვინტა და ოტტავა, – წერს ფ. ქორიძე – თუმცა ადვილი გასაგები და დასამახსოვრებელია, მაგრამ მოსასმენად არ არის სასიამოვნო, რადგან ხმები დამოკიდებულია ერთი მეორეზე. და არც გალობდენ ამნაირ ხმათა წყობილებით კარგი და დახელოვნებული მგალობლები. მხოლოდ ეს იყო ძირი პირველდასაწყისი გალობის სწავლისა. როდესაც სასწავლებელ ხმებზე შეასწავლიდენ გალობას, მერე დააწყებინებდენ კილო გალობის სწავლას. კილო გალობა მდგომარეობდა იმაში, რომ პირველ ხმას აძლევდენ უკეთესს, მელოდიურს მიმოხვრას, ბანსა და მაღალ ბანს (მოძახახილს დ.შ.) ცოტად თუ ბევრად აძლევდენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას პირველი ხმისგან. უმეტეს შემთხვევაში აშორებდენ ხმებს ერთგვარად მიყოლ-მოყოლას, აყენებდენ თვითოეულს მათგანს შესაფერს ერთმანეთს შორის ადვილას და ამნაირად ასხვავებდენ და აუმჯობესებდენ სასწავლებელის ხმებისაგან.“⁹ აღწერილი პრინციპის დამადასტურებელია ფ. ქორიძის, რ. ხუნდაძისა და ე. კერესელიძის მიერ ჩაწერილი მრავალი საგალობელი.

საერთო წესებისა და კანონების არსებობასთან ერთად ქართული გალობის ყოველ სკოლას აქვს მისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული ფორმულები კადანსებისა, საგალობელთა დამასრულებელი ტიპური ფრაზებისა. სამგალობლო სკოლათა ნაირსახეობას განაპირობებს გალობის „გამშვენების“ თავისებურებანი, კანონიკური ჰანგის ნაირგვარად „მოჩუქურთმების“, „მოქარგვისა“ და შესაბამისი ჰარმონიზაციის ინდივიდუალური წესები, ანუ სამხმანიანობის ორიგინალური სახეები.

ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში არსებული, დღემდე ცოცხალი სახით ვერმოდწეული ტრადიცია, საგალობელთა სამ ძირითად ხმასთან (თქმა, მოძახილი, ბანი) ერთად ე. წ. „ნართაული ხმების“ აქდერებისა, გალობის გამშვენების

⁹ ფილიმონ ქორიძე – ქართული გალობის მდგომარეობა - ე. „მწეემსი“ 1896 №9-10

განსაკუთრებული ხერხი უნდა იყოს, რომელიც უმეტესად „ჭრელი“ საგალობლების შესრულებისას გამოიყენებოდა. „თითოეული მთავარ ხმათაგანი, ე. ი. თქმა, მოძახილი ანუ მაღალი ბანი და ბანი კიდევ სხვა სამ, ნართაულ ხმად იყოფა:

I ხმა: ა) თქმა ბ) მოძახილი და გ) წვრილი

II ხმა: ა) მაღალი ბანი ბ) ზილი და გ) კრინი

III ხმა: ა) ბანი ბ) დვრინი და გ) გუბი ან დუმბი.“¹⁰

ნართაულ ხმათა ფუნქცია ძირითადი ხმების ფონად უღერაში, ტემბრულ გამდიდრებაში და ამავე დროს ხმოვანი სივრცის „სრულად მოცვაში“ მდგომარეობს.

გელათის სკოლა. გელათის მონასტრის, როგორც სულიერების სავანის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მნიშვნელობაზე მისი „მეორე იერუსალიმად“ და „სხ ად ათინად“ წოდება მეტყველებს. 1106 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაარსებული გელათის აკადემია იმ საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა, რომელშიც სხვა დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდა მუსიკა – „სამუსო“. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ დროის საქართველოში არა მხოლოდ პრაქტიკული სამგალობლო ხელოვნება ვითარდებოდა, არამედ მუსიკის (და უპირველესად გალობის) თეორიის შესწავლის დიდი სკოლაც უნდა არსებულიყო.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაარსებული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის მიერ თავდაპირველად საგალობელთა გადმომცემად არჩეულნი იყვნენ დ. ჭალაგანიძე, ი. წერეთელი და რ. ხუნდაძე. ჭალაგანიძე-წერეთელი-ხუნდაძის ტრიო სამ საგალობო ტრადიციას აერთიანებს, თუმცა მათთვის გალობის საერთო საფუძველი არსებობდა, რაც გელათის საგალობო სკოლის ტრადიციას მართებულად უკავშირდება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ფ. ქორიძის მიერ ჩაწერილი და ე. კერესელიძის მიერ მოწესრიგებული და სათუთად გადაწერილი ათასობით საგალობლის შემცველი ხელნაწერი კრებულების გარკვეულ ნაწილზე მითითებულია, თუ ვის მიერ არის ჩაწერილი და ვისგან არის გადმომცემული მასში შემავალი საგალობლები, მაგრამ ნაწილს ასეთი აღნიშვნა არა აქვს. ამ

¹⁰ ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) – ძველი ქართული საეკლესიო გალობისა და ნოტების შესახებ - გაზ. „დროება“ 1881 №156

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ე. კერესელიძის ცნობა, რომელშიც მოცემულია გალობის გადმომცემთა სია. მასში დასახელებულნი არიან: ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რაქდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე, დავით დუმბაძე, სვიმონ მოლარიშვილი და არისტოვლე ქუთათელაძე. (იხ. ხელნაწერი Q 665)

როგორც ცნობილია, „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ მიერ თავდაპირველად საგალობელთა გადმომცემად არჩეულნი იყვნენ დ. ჭალაგანიძე, ი. წერეთელი და რ. ხუნდაძე. მგალობელთა ამ სამეულს ზედამხედველობას უწევდა საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედელი მგალობელი ანტონ დუმბაძე – „თვით პაპა გურულის გალობისა, აღმდგენელი და განმამტკიცებელი მისი მთელს გურია-სამეგრელოში“.¹¹ შემდგომში ანტონ დუმბაძემ თავადაც ჩააწერინა ფილიმონ ქორიძეს მრავალრიცხოვანი საგალობელი, რაშიც ანტონის ვაჟი, დავით დუმბაძე და სვიმონ მოლარიშვილიც მონაწილეობდნენ.

სვეტიცხოვლის სკოლა – „კარბელაანთ კილო“.

როგორც პ. კარბელაშვილი მოგვითხრობს, ერეკლე II-ისა და ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით, 1764 წელს გამართული საგანგებო კრების დადგენილებით, მღვდელთმთავრებსა და მონასტრების წინამძღვრებს დაევალათ „მგალობელთა გუნდთა შედგენა ყველა სამღვდელთმთავრო ტაძრებთან, ძველებრ. ამისათვის სვეტიცხოველში დაარსდა დიდი საკათალიკოსო სკოლა, სადაც ყრმანი მოსწავლენი სხვადასხვა საგნებთან ერთად სწავლობდნენ ქართულ გალობასაცა“. სწორედ ამ სასწავლებელთან არის დაკავშირებული „კარბელაანთ კილოს“ მოთავის, პეტრე კარბელას სამგალობლო ცოდნის მიღება.

ბოლო ხანებში „კარბელაანთ კილოს“ ამა თუ იმ ტაძრის თუ მონასტრის სახელით მოხსენიების ტენდენციები გაჩნდა: სამთავისის, იყალთოს, მარტყოფის, შიომღვიმის, ბოდბის მონასტრის, ანჩისხატის სკოლა თუ სხვა. პირობითად ყოველ მათგანს შეიძლება მოენახოს გარკვეული ახსნა, იმის საფუძველზე, რომ კარბელაშვილთა სამი თაობის მოღვაწეთა სახელები, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია ამ ტაძრებთან. მაგრამ, ჩვენი აზრით, „კარბელაანთ კილოსა“ და მის მოთავედ ცნობილ, პეტრე კარბელასთან დაკავშირებული ისტორიიდან გამომდინარე, მართებული იქნება თუ ამ კილოს წარმოვიდგენთ და მოვიხსენიებთ როგორც **სვეტიცხოვლის საგალობო სკოლის** დღემდე შემორჩენილ ტრადიციას.

¹¹ იხ. გაზ. „ივერია“, 1893, №90:2

შემოქმედის სკოლა – „დუმბადის კილო“.

შემოქმედის საგალობო ტრადიციის უკანასკნელი წარმომადგენლის, არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებს ეძღვნება ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ კრებული „ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით“.¹² შესავალ წერილში ნახსენები გვყავს არტემის მასწავლებელი, მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელიც, როგორც ცნობილია, სრული მგალობლის, ანტონ დუმბადის მოწაფე გახლდათ. ფილიმონ ქორიძის სანოტო ხელნაწერებში მოიპოვება როგორც ანტონ დუმბადის ისე მელქისედეკ ნაკაშიძის მიერ გადმოცემული საგალობლები. უნდა ითქვას, რომ დღეისათვის სათანადოდ არ არის გამოკვლეული ის კავშირი და სხვაობები, რომელიც შემოქმედის სკოლის ამ სამი თაობის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლთა ჩანაწერებში ფიქსირდება.

შემოქმედის საგალობო ტრადიციის უკანასკნელი წარმომადგენლის, არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებისა და ანტონ დუმბადის მიერ გადმოცემული საგალობლების ურთიერთშედარებითი ანალიზის შედეგად შემოქმედის სკოლის სხვადასხვა თაობის მგალობელთა დანატოვარში საერთო ნიშანდობლივი ელემენტების არსებობას ადასტურებს.

თავი III. რვახმის სისტემა.

სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების გალობის მსგავსად, ქართულ გალობაში ძირითად მუსიკალურ სისტემას რვახმის სისტემა ანუ ოქტოიხოსი წარმოადგენს. ბერძნული სიტყვა *Ὀκτοῦχοσ* (ოქტოიხოს), რომლის რუსული შესატყვისობაა *Осмогласие* (ოსმოგლასიე), ქართულად რვა ხმას ნიშნავს. ჩვენი აზრით, ეს ცნება არა ორი სიტყვის (რვა ხმა), არამედ სწორედ კომპოზიტის (რვახმა) სახით იკითხება, როგორც სპეციალური ლიტურგიკული და სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე ტერმინი.

¹² შემოქმედის სკოლა 2006 – ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით – ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დ. შუღლიაშვილმა – I გამოცემა – თბ. 2002; II გამოცემა, - თბ. 2006 - 19 -

ხმა, როგორც მეოდიურ ფორმულათა ჯამი, საგალობის ჟანრთან (ფორმა-სახეობასთან) და ფუნქციასთან ერთად, კანონიკური ჰანგის განმსაზღვრელ კატეგორიას წარმოადგენს.

მუხლს, როგორც ამა თუ იმ ჰანგის შემადგენელ მყარ ერთეულს, საგალობელთა უმთავრეს სტრუქტურულ ელემენტად განვიხილავთ და მას მოდუსს, უფრო ზუსტად, მუხლ-მოდუსს ვუწოდებთ.

ქართულ ტრადიციაში რვახმა საგალობლები (ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერების მიხედვით) ათ ჯგუფად გვაქვს კლასიფიცირებული, რასაც ცხრილში წარმოგიდგინებ (იხ. დანართი, ცხრილი №1). სწორედ ამ კლასიფიკაციის საფუძვლიანობის დასაბუთებას ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომი, რასაც თითოეული ჯგუფის ყოველი ხმის, მუხლ-მოდუსთა ფონდის გამოვლენით, სტრუქტურული ანალიზითა და კანონზომიერებების დადგენით ვახდენთ. შედარებითი ანალიზით გამოვაგლენთ ამ კანონზომიერებების იგივეობასა და სხვაობას ქართული გალობის სხვადასხვა სკოლებში.

ხელნაწერებში დასდებლის შვიდი სახეობა დასტურდება, რომელთაც ხმათა საერთო ინტონაციური ფონდი აქვს. ხმათა ამ ჯგუფს **დასდებლის ხმებს** ვუწოდებთ. დასდებლის ხმათა ჯგუფი ყველაზე მრავალჟანრიანია. მასში დასდებელთა გარდა ერთიანდება კიდევ 9 სახეობის საგალობლები. დასდებლის ჯგუფის საგალობლებს ტროპარის ჟანრის საგალობლებთან საერთო აქვს ოთხი ხმა: ა, ბ, გ და ხმები, ამიტომ მათ **ტროპარ-დასდებლის ხმები** ვუწოდებთ. დანარჩენი ოთხი ხმა ტროპარის ჟანრის საგალობლებს განხვავებული აქვს დასდებლის ხმებისგან, რომელნიც კერძოდ ტროპარებში გვხვდება. ამ ოთხი ხმას (დ, ე, ვ, ზ) ცალკე ჯგუფად გვამოვიყოფთ და **ტროპარის ხმებს** ვუწოდებთ. სტრუქტურაში გამონაკლისები, უმეტეს წილად, ტროპარის ჟანრის ცალკეული ხმების (ა, ბ, დ ხმების) საგალობლებში გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ხმათა უმრავლესობაში ინტონაციური ბლოკების, მოდუსებისა და მათი თანმიმდევრობის დაცვის ფონზე, ტროპარის ჟანრი, აღნიშნულ ხმებში, სტრუქტურულად საკმაოდ ცვალებადი და მობილურია რვახმის საგალობელთა სხვა სახეობებთან შედარებით.

დასდებლისა და ტროპარ-დასდებლის ჯგუფების შემდეგ ჟანრთა სიმრავლით გამოირჩევა ჰანგთა ჯგუფი, რომელსაც **კონდაკის რვახმა** ვუწოდებთ. მასში კონდაკის გარდა ერთიანდება იკოსის, იბაკოს და მჯდომარეს ჟანრის საგალობლები. ხელნაწერებში- 20-დამოუკიდებელი რვა ჰანგით არის

წარმოდგენილი კვირა დღის ცისკრის იბაკოები, ამიტომ მათ ცალკე იბაკოს რვახმის ჯგუფად გამოვყოფთ.

ჰანგთა განაწილების განსაკუთრებულ სისტემას წარმოადგენს ანტიფონის რვახმა, რომელშიც თითოეული ხმა არა ერთ, არამედ რამდენიმე ჰანგს შეიცავს. ეს პრინციპი როგორც გელათის, ისე სვეტიცხოვლის საგალობო ტრადიციაში დასტურდება.

აღნიშნული რვახმა საგალობელთა ჟანრები ე. წ. ორ და მეტმუხლიან ჰანგებს შეიცავს, რომელთა მუხლობრივი სტრუქტურული სქემები, კვლევის შედეგის სახით, ცხრილში გვაქვს მოცემული (იხ. ცხრილი №2)

ცალკე გვაქვს გამოყოფილი მცირე ფორმის რვახმა საგალობლები, რომელშიც ერთმუხლიან (იშვიათად ორმუხლიან) საგალობლებს ვგულისხმობთ. ესენია: წარდგომის რვახმა, რვახმა ალილუია (წირვის), რვახმა წმიდაარსი და დიდებათა რვახმა. ფორმის სიმცირის მიუხედავად, თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი რვა-რვა ჰანგი აქვს.

ბოლოთქმა.

ქართულ საეკლესიო გალობაში რვახმის სისტემის კანონზომიერებათა გამოვლენა-სისტემატიზაცია წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ჩატარებული სამუშაო მნიშვნელოვნად ავსებს ამ სფეროში დღემდე არსებულ „თეთრ ლაქებს“ და მრავალ კითხვაზე იძლევა პასუხს, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ სრულებით არ გვაქვს საკითხის ამოწურვის პრეტენზია. მიგვაჩნია, რომ ნაშრომში მოცემული ანალიზისა და დაკვირვებების საფუძველზე მრავალი ახალი საკითხის დასმა და ამოცანის დასახვა შესაძლებელი, რაც ქართული გალობის კვლევისა და ცოდნის გაღრმავების ახალ იმპულსებს იძლევა.



დასკვნა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემდეგი ძირითადი დასკვნები და სამეცნიერო სიახლეები გამოიკვეთა:

წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ საეკლესიო გალობაში რვახმის სისტემის კომპლექსური ანალიზის პირველ ცდას წარმოადგენს, სადაც სრულად არის მოცემული და სისტემატიზირებული რვახმა საგალობლების მუსიკალური შინაარსი, მუხლ-მოდუსთა ფონდი, სტრუქტურული კანონზომიერებები. ურთიერთშედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ამ სისტემის ერთიანი საფუძველი ქართული გალობის სხვადასხვა სკოლებში.

- ოქტოხოსის ქართულ შესატყვისად მიზანშეწონილად მივიჩნევთ დამკვიდრდეს ანალოგიური კომპოზიტი-ტერმინი – **რვახმა**.
- ქართული საეკლესიო გალობა ემყარება რვახმის სისტემის ზოგად პრინციპს, კანონიკურ ხმათა და ჰანგთა განაწილების განსაზღვრულ წესს, რომელიც ერთიან საფუძველს წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილი თითოეული ტრადიციული ქართული საგალობო სკოლისათვის.
- ხმა, როგორც მელოდიურ ფორმულათა ჯამი, საგალობლის ჟანრთან (ფორმა-სახეობასთან) და ფუნქციასთან ერთად, კანონიკური ჰანგის განმსაზღვრელ კატეგორიას წარმოადგენს.
- სრულად მოვახდინეთ Q-672, Q673 და Q674 ხელნაწერებში არსებულ რვახმის საგალობელთა სტრუქტურულ-მუხლობრივი ანალიზი.
- მოვახდინეთ საგალობელთა დაჯგუფება ჰანგების მიხედვით (არა მარტო ხმის, არამედ ჟანრისა და ფუნქციის კომპონენტების გათვალისწინებით); გამოვლინდა რვახმის 10 ჯგუფი:

1. დასდებლის (ხმა ა, ბ, გ,)
2. ტროპარ-დასდებლის (დ, ე, ვ, ზ)
3. ტროპარის (ა, ბ, გ,)
4. კონდაკის
5. იბაკოს
6. ანტიფონის

7. წარდგომის
8. წმიდაარსის
9. აღილუიას
10. დიდებათა

- რვახმათა ჯგუფების თითოეული ხმის დეტალური ანალიზის შედეგად შევისწავლეთ და გამოვავლინეთ რვახმის სისტემის სრული მუხლობრივ-ინტონაციური არსენალი.
- მუხლს, როგორც ამა თუ იმ ხმის ჰანგის შემადგენელ მყარ სტრუქტურულ ერთეულს, მუხლ-მოდუსს ვუწოდებთ.
- მუხლ-მოდუსთა მიმდევრობის სტაბილურობა განსაზღვრავს მუხლთა ფუნქციურ მნიშვნელობებს.
- გამოვყავით მუხლთა შემდეგი ძირითადი სახეობები:
 1. საწყისი
 2. გამეორებადი
 3. შუალედური
 4. დასრულების წინა
 5. დასრულება
- გამოვყავით აგრეთვე მუხლთა უფრო იშვიათად შემხვედრი სახეობები:
 1. ჩართული
 2. ჩამნაცვლებელი
 3. საზიარო
 4. ნახესხები
 5. შედგენილი
- წარმოვაჩინეთ თითოეული ხმის მუხლ-მოდუსთა კომპლექსი, მათი გამოყენების ტიპური სტრუქტურული მექანიზმი (მუხლ-მოდუსთა რაოდენობა, მიმდევრობა, მონაცვლეობა) და მათი შესაბამისობა სხვადასხვა საგალობო სკოლის ტრადიციაში.
- გამოვავლინეთ და განვიხილეთ გადახვევები ამ სტერეოტიპებიდან (მაგ.: სხვა ჯგუფის ჰანგის გამოყენება,- 23 - მუხლის „ამოვარდნა“ ან

თანმიმდევრობაში „უსისტემობა“ და სხვ.)

- იმის საფუძველზე, რომ დასდებლის და ტროპარის ჯგუფი მხოლოდ ოთხი ხმით განსხვავდება, ოთხი კი საერთო აქვთ, ამ უკანასკნელს ტროპარ-დასდებლის ჯგუფი ეუწოდეთ.
- სხვადასხვა სკოლათა ნიმუშების ურთიერთ შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰანგთან სიტყვის შეწყობის წესი უფრო ცვალებადია, ვიდრე თვით ჰანგის აგებისა (მუხლთა თანრიგისა).
- რვახმათა ჰანგების ჩვენს მიერ წარმოდგენილი სისტემური კატეგორიზაცია ხელნაწერებში არსებული ათასობით საგალობელთა ჰანგების რვახმის სისტემის შესაბამის ჯგუფთან და ხმასთან იდენტიფიცირების შესაძლებლობას გვაძლევს. ამასთან ერთად, შესაძლებლობა გვეძლევს გამოვაყვინოთ ხელნაწერებში არსებული გადახვევები, ცდომილებები თუ უზუსტობანი.
- რვახმის წარმოდგენილი სისტემატიზაცია, როგორც სანოტო ხელნაწერებში დაუფიქსირებელი სხვადასხვა საგალობელისთვის შესაბამისი კანონიკური ჰანგის შერჩევაში, ისე ამ ჰანგზე ტექსტის გაწყობის ნორმების დადგენაში დაგვეხმარება.

* * *

- დავსვით საკითხი საგალობელთა წყაროთმცოდნეობითი კვლევის საჭიროების შესახებ.
 - საგალობელთა სანოტო ჩანაწერების კუთხით, წყაროთმცოდნეობითი შესწავლა მუსიკოლოგთა სპეციალური მასშტაბური კვლევის ობიექტი ჯერ არ ყოფილა.
- წარმოვაჩინეთ ქართული გალობის უადრესი სანოტო ჩანაწერები.
 - ქართული საგალობლის ყველაზე ადრეულ სანოტო ჩანაწერს 1802 წელს უკრანაში ჩაწერილი დვთიმშობლის ძლისპირი წარმოადგენს.
- დავაზუსტეთ Q კოლექციაში არსებული მასალის ნუმერაციის

შესაბამისობა ე. კერესელიძის „წიგნთა“ სიასთან.

- ქართული გალობის მკვლევართათვის დიდი დახმარების გამწევი ხელნაწერის – ე. კერესელიძის მიერ შედგენილი საგალობელთა საძიებლის (Q665) სრულყოფილად გამოყენება სირთულეს წარმოადგენდა, სანოტო კრებულთა ნუმერაციისა და Q კოდექციის ნომერთა შეუსაბამობის გამო. შედარებითი აღწერა-ანალიზის ჩატარებით პრობლემა მოხსნილია.
- მუსიკოლოგიური კვლევის სფეროში შემოვიტანეთ ხელნაწერი H-154 (ცხრა კრებული), გამოვაკლინეთ და დავაზუსტეთ მისი წარმომავლობა.
- მიუთითეთ დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ და საგალობო პრაქტიკაში ჯერ კიდევ გამოუყენებელ სანოტო ხელნაწერებზე და მათი მოძიებისა და სამომავლო კვლევის პერსპექტივაზე.

* * *

- მოვახდინეთ სკოლათა კლასიფიკაციის ტერმინოლოგიური დაზუსტება-არგუმენტაცია.
- განვსაზღვრეთ, კერძოდ რომელი სკოლის ნიმუშებს ასახავს ჩვენს ხელთ არსებული სანოტო და აუდიო ჩანაწერები.
- წარმოვადგინეთ გალობის განვითარების ისტორიული ეტაპების ჩვენეული ხედვა.
- გამოვყავით გალობის განვითარების სამი ეტაპი:
1) „სასწავლებელი ხმები“, 2) სადა და 3) გამშვენებული გალობა.
- საგალობო სკოლათა ნაირსახეობას განაპირობებს საგალობო ხმების (თქმის, მოძახილის, ბანის) შეწყობის, მათი „გამშვენების“ თავისებურებები, კანონიკური ჰანგის ნაირგვარად „მოჩუქურთმების“, „მოქარგვის“ და შესაბამისი ჰარმონიზაციის ინდივიდუალური წესები, მრავალხმიანობის ორიგინალური სახეები.
- შევეხეთ ხმათა შეწყობის და „გამშვენების“ კანონზომიერებებს, როგორც სკოლათა მთავარ განმასხვავებელ ასპექტს.
- ვაჩვენეთ ტერმინ „კილოს“ ერთ-ერთი სემანტიკური შესატყვისობა გალობის სკოლასთან.

- ვაჩვენეთ საკადანსო საქცევების ტიპურობა ცალკეულ სკოლებში.
- გელათის სკოლის ტრადიციამ ჩვენამდე სამი სხვადასხვა სკოლის (საკუთრივ გელათის, მარტვილისა და შემოქმედის) აღზრდილთა ერთად ნაგალობების სახით მოაღწია (ივლიანე წერეთელი, დიმიტრი ჭალაგანიძე, რაუდენ ხუნდაძე), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს გალობა სამი სკოლის სინთეზს წარმოადგენს. როგორც ჩანს, მათ საერთო ფუძე აქვთ გალობისა, რომელიც სამართლიანად უკავშირდება გელათის მონასტრის სკოლა-აკადემიას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს.
- „კარბელაანთ კილო“, რომლის წარმომავლობა პეტრე კარბელას სახელს უკავშირდება, სვეტიცხოვლის სკოლის ტრადიციად გვაქვს წარმოდგენილი. ამის საფუძველს იძლევა პ. კარბელაშვილის ცნობა, პაპამისის, პეტრეს მიერ გალობის შესწავლის შესახებ.
- უზუსტობად მიგვაჩნია მოსაზრება, რომელიც ე. წ. „კარბელაანთ კილოს“ დასავლურ (გურულ) საგალობო ტრადიციასთან გაიგივებას გულისხმობს.
- წამოვაყენეთ ჰიპოთეზა აღმოსავლეთ საქართველოს საგალობო ტრადიციაში (მათ შორის „კარბელაანთ კილოში“) მედიზმური ორნამენტიკის პრაქტიკის ტრადიციულობის შესახებ.
- დავადასტურეთ ტრადიციის არაერთსახოვნება აღმოსავლეთ საქართველოს საგალობო წყაროებში (არაყიშვილის ჩანაწერები, ქაშვეთელი მგალობლების ფონო ჩანაწერები).
- დავადასტურეთ კავშირი შემოქმედის სკოლის სხვადასხვა თაობის მგალობელთა, ანტონ დუმბაძისა და არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებს შორის.



**სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკასთან დაკავშირებული
პუბლიკაციების ნუსხა**

1. **ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ** // თ.ს.კ. სამეცნიერო შრომების კრებული - ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. - თბილისი, 1991
2. **ქართული საეკლესიო გალობის ბუნებისათვის** - ჟ. „ხელოვნება“ 1991, №9-10
3. **ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ** – ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები. თბილისის სახ. კონსერვატორია. 2000
4. **ქართული გალობის „უნისონური“ მრავალხმიანობა** //კრებულში: სასულიერო და საერო მრავალხმიანობის პრობლემები. - თბ. 2001
5. **ქართული გალობის სკოლები და ტრადიციები** // ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმი. -თბილისი, 2002.
6. **ქართული საეკლესიო გალობა. ტრადიცია და თანამედროვეობა.** – წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის XII ყოველწლიური კონფერენცია. მოსკოვი. 2002 (რუსულ ენაზე)
7. **ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით.** (სანოტო კრებული) თბილისი 2002
8. **ადმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის შესახებ** // ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმი. - თბილისი 2004
9. **რვახმის სისტემის სტრუქტურული თავისებურებები ქართულ გალობაში** // წაკითხულია სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული გალობის ერთი საუკუნე“ - თბ. 2005 // ჟ. კავკასიის მაცნე, №14 2006 // თ.ს.კ. სამეცნიერო შრომების კრებული – სასულიერო მუსიკა - თბილისი, 2007
10. **„შესვლადი“ ქართულ საეკლესიო გალობაში** – // ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმი. -თბილისი, 2002.
11. **ქართული სანოტო გამოცემების სათავეებთან „ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი“** - 27 - (ექვთიმე კერესელიძის

**ხელნაწერის მიხედვით) // საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა, შრომები – თბ. 2006**

12. **მუსიკალურ-ენობრივი კავშირი შემოქმედის სკოლის სხვადასხვა თაობის
საგალობო ტრადიციაში //წაკითხულია თბილისი სახ. კონსერვატორიაში
არტემ ერქომაიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით
გამართულ კონფერენციაზე. – 2007**



დანართი

ცხრილი 1

რეაქმათა ჯგუფები		საგალობელთა სახეობა
1	დასდებლის (ხმა ა, ბ, გ, ზ) ↓	1) დასდებელი: a) უფალო დაღადეყავსა ზედა b) სტიქარონსა ზედა c) აქებდითსა ზედა d) ლიტიასა ზედა e) სადიდებელთა f) აღვივსენითსა ზედა g) ჟამნთა
2	ტროპარ- დასდებლის (ხმა დ, ე, ვ, ზ) ↑	2) დოგმატიკი (ღვთისმშობლისა) 3) უფალო დაღადეყავი 4) განმანათლებელი: a) საცისკრო, აღდგომისა b) შვიდეულთა c) მარხვათა 5) გერი 6) აწ განუტყვე 7) ღმერთი უფალი 8) ალილუია (ღმერთი უფალის ნაცვლად მარხვაში) 9) უმეტესად კურთხეულ ხარ 10) სამებთანის გალობა (წმიდა არსის ტროპარები)
3	ტროპარის (ხმა ა, ბ, გ, ზ)	11) ტროპარი a) აღდგომისანი b) დიდება მაღალიანის c) საღღესასწაულო 12) ღვთისმშობლისა
4	კონდაკის	13) კონდაკი 14) იკოსი 15) წარდგომა მესამე გალობისა (იბაკო) 16) სტიქოლოგიის წარდგომა (მჯდომარე): a) აღდგომისა b) საუფლო დღესასწაულთა c) მარხვათა d) ყოველთა დღეთა
5	იბაკოს	17) იბაკო (კვირა დღის)
6	ანტიფონის	18) ანტიფონი 19) მომისხენენი
7	წარდგომის	20) წარდგომა: a) სამწუხრონი b) საცისკრო სახარებისა c) სამოციქულოსა, წირვასა ზედა აღდგომისა d) სამოციქულოსა, წირვასა ზედა ყოველთა დღეთა
8	წმიდაარსის	21) წმიდა არს
9	ალილუიას	22) ალილუია (წირვის)
10	დიდებათა	23) დიდება შენდა ღმერთო 24) დიდება... აწ და მარადის

ცხრილი 2

	რეაქციის ჯგუფი	№	სმა	მუხლი	სტრუქტურა	
1	დასდებლის	1	ა	4	1 2 3 1 2 3 ... F	
		2	ბ	6	1 2 3 4 5 2 3 F	
		3	გ	3	1 2 1 2...2 F	
		4	დ	7	1 2 3 1 2 3 ... F	
2	ტროპარ- დასდებლის	5	დ	6	1 2 3 4 5 6 3 4 5 F	
		6	ე	6	1 2 3 4 5 3 4 5...F	
		7	ვ	3	1 2 1 2...F	
		8	ზ	5	1 2 3 4 2 3 4...F	
3	ტროპარის	9	ა	4	1 2 1 2 1...3 F	
		10	ბ	5	1 2 3 2 4 [^] 2a 3 F	
		11	გ	6	1 2 2 3 4 5 3 F	
		12	დ	7	1 2 3 4 5 2 3 4 5...6 F 1 4 5 2 3 4 5 2 3 4 5...6 F	
4	კონდაკის	13	ა	3	1 2 1 2 1...F	
		14	ბ	9	1 2 3 4 5 6 3a 7 8 2a 3b 7a F	
		15	გ	3	1 2 1 2 1... 2a F	
		16	დ	3	1 2 2 ... 2a F	
		17	ე	5	1 2 1 2 ... 3 4 F	
		18	ვ	2	1 1 ... F	
		19	ზ	4	1 2 3 2 3 ... F	
		20	დ	4	1 2 3 2 3 ... 3a F	
5	იპაკოს	21	ა	6	1 2 3 4 [^] 5 F	
		22	ბ	4	1 2 3 2 2 F	
		23	გ	7	1 2 3 4 5 6 6 1 4 F	
		24	დ	5	1 2 3 4 F	
		25	ე	8	1 2 3 4 5 6 7 F	
		26	ვ	5	1 2 3 4 4a F	
		27	ზ	4	1 2 3 F	
		28	დ	5	1,2 3 2 3 2 3 2 4 F	
6	ანტიფონის	29	ა	I	2	1 1 ... F
		30		II	6	1 2 3 3a 4 5 F
		31	ბ	I	5	1 2 3 4 F
		32		II	3	1 2 1 F
		33	გ	I	4	1 2 3 1 F
		34		II	3	1 2 1 2 1 F
		35	დ	I	3	1 2 F
		36		II	3	1 2 2' F
		37	ე		3	1 2 F
		38	ვ	I	3	1 2 F
		39		II	3	1 2, F
		40		III	3	1 2 F
		41	ზ	I	4	1 2 3 F
		42		II	6	1 2 3 4 2 5 F
		42		III	4	1 2 2a 3 F
		43	დ	I	4	1 2 3 F
		44		II	4	1 2 1 3 1a F
45	III	4		1 2 1 3 F		

Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

with the right of the manuscript

DAVID SHUGLIASHVILI

EIGHT-TONE SYSTEM IN GEORGIAN ECCLESTIASTIC CHANT

(according to the notational transcription of chants)

Author's Abstract

of the Dissertation Presented for the Academic Degree of

PhD in Musicology

Subspeciality: Church Music

Tbilisi

2009

- 31 -

The Scientific Supervisors:

MANANA ANDRIADZE, PhD, Professor.

JOSEPH JORDANIA, PhD, Professor.

Experts:

MARIAM OSITASHVILI, PhD

TAMAR CHKHEIDZE, PhD, assoc.Professor

The defence of the dissertation will be held on July 2, 2009

at the meeting of the dissertation council No 5

of the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire Music Theory Faculty.

